ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო (MCA - საქართველო)

ტენდერის გასაჩივრების სისტემის პროცედურები

პირველი გამოცემა

***

სარჩევი

პრეამბულა 1

მუხლი 1 გასაჩივრების უფლება 2

მუხლი 2 ტენდერთან დაკავშირებული საჩივრების განმხილველი კომისია 3

მუხლი 3 შესყიდვების პროცედურის შეჩერება 4

მუხლი 4 ტენდერთან დაკავშირებული საჩივრის შეტანა 5

მუხლი 5 ტენდერის გასაჩივრების პროცედურები 6

მუხლი 7 დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფი 9
მუხლი 8 აპელაციების განმხილველლი დამოუკიდებელი კომისიის წევრთა შერჩევა... 10
მუხლი 9 თავმჯდომარის დანიშვნა 11
მუხლი 10 დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრთა შეცვლა/ჩანაცვლება 11
მუხლი 11 სააპელაციო პროცედურები..... 12
მუხლი 12 შეტყობინება, ვადების განსაზღვრა..... 14
მუხლი 13 ენასთან დაკავშირებული მოთხოვნები 15
მუხლი 14 სააპელაციო დეპოზიტი 15
მუხლი 15 განცხადებათა შეტანის მოსაკრებელი და ხარჯები..... 17
მუხლი 16 სახელმძღვანელო წესები 18
მუხლი 17 ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან ანგარიშგება 20

განმარტებები

ა. **„აპელაცია“** ნიშნავს დამოუკიდებელი განმხილველი კომისიისადმი საჩივრით მიმართვის პროცესს.

ბ. **„სააპელაციო დეპოზიტი“** ნიშნავს მომჩივანის მიერ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ანგარიშზე დარიცხულ სავალდებულო დეპოზიტს გასაჩივრების წინამდებარე პროცედურების მე-14 მუხლის შესაბამისად.

გ. **„ტენდერთან დაკავშირებული საჩივარი“** ნიშნავს მომჩივანის მიერ წინამდებარე დოკუმენტში განმარტებული წესების მიხედვით მიწოდებულ დოკუმენტაციას, რომლის მიზანიც შესყიდვის პროცესის განხილვაა.

დ. **„ტენდერის მონაწილე“** ნიშნავს კონსულტანტს, კონტრაქტორს ან მიმწოდებელს, რომელიც მონაწილეობს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ განხორციელებული შესყიდვების პროცესში საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მიწოდების მიზნით, კომპაქტის ფარგლებში.

ე. **„სატენდერო დოკუმენტაცია“** ნიშნავს გასაჩივრებულ ტენდერთან დაკავშირებულ შესყიდვების დოკუმენტაციას.

ვ. **„გასაჩივრების პროცედურები“** ნიშნავს წინამდებარე დოკუმენტში განმარტებული წესების ერთობლიობას.

ზ. **„გასაჩივრებული შესყიდვები“** ნიშნავს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ განხორციელებულ კონკრეტულ შესყიდვებს, რომლის წინააღმდეგაც არის დაწყებული (გასაჩივრების პროცედურები) საქმე.

თ. **„მომჩივანი“** ნიშნავს ტენდერის მონაწილეს (განმცხადებელს) ან პოტენციურ მონაწილეს, რომელსაც წარდგენილი აქვს ტენდერის გასაჩივრების ან სააპელაციო განცხადება.

ი. **„კომპაქტი“** განმარტება მოცემულია პრეამბულაში და ხელმისაწვდომია ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ვებ-გვერდზე: www.mcageorgia.ge.

კ. **„გადაწყვეტილება“** ნიშნავს წერილობით გადაწყვეტილებას, რომელსაც, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, იღებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს საჩივრების განმხილველი კომისია ან დამოუკიდებელი განმხილველი კომისია და რომელიც მიეწოდება მხარეებს.

ლ. **„ფაგ“** ნიშნავს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ფისკალური ანგარიშგების გეგმას, რომელიც ხელმისაწვდომია ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ვებ-გვერდზე: www.mcageorgia.ge.

მ. **„მიღებული“** ნიშნავს ადრესატის მიერ სამუშაო დღის დასრულებამდე ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით მიღებულ ნებისმიერ დოკუმენტს.

ნ. **„დამოუკიდებელი განმხილველი კომისია“** წარმოადგენს კონკრეტული საჩივრების განხილვის მიზნით დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფის სამი წევრისაგან შემდგარ დამოუკიდებელ ორგანოს, რომელთა შერჩევაც წარმოებს მე-8 მუხლის თანახმად.

ო. **„დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფი“** წარმოადგენს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ დანიშნული კომპეტენტური და კვალიფიციური ადამიანების ჯგუფს, რომელთაგანაც, საჩივრების განხილვის მიზნით, შეირჩევიან კომისიების ინდივიდუალური წევრები, მე-8 მუხლში აღწერილი პროცედურების თანახმად.

პ. **„MCA - საქართველო“** ნიშნავს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს, როგორც ეს განმარტებულია პრეამბულაში.

ჟ. **„MCC“** ნიშნავს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას, როგორც ეს განმარტებულია პრეამბულაში.

რ. **„ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის პროგრამის შესყიდვების სახელმძღვანელო წესები“** ნიშნავს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის პროგრამის შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც შეიძლება პერიოდულად შეიცვალოს და ხელმისაწვდომია ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ვებ-გვერდზე: www.mcageorgia.ge და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ვებ-გვერდზე: http://www.mcc.gov.

ს. **„სააპელაციო შეტყობინება“** ნიშნავს „მომჩივანის“ (სატენდერო კონკურსში მონაწილე ან პოტენციური მონაწილე) მიერ შეტანილ დოკუმენტს, რის მიზანსაც წარმოადგენს იმის დასაბუთება, რომ გასაჩივრების განმხილველ კომისიამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება ტენდერის გასაჩივრების შესახებ (ტენდერის გასაჩივრების განმხილველი) კომისიის ვალდებულებების შესაბამისად; ან შეიძლება ასახავდეს მომჩივანის უკმაყოფილებას ხსენებული კომისიის გადაწყვეტილების გამო.

ტ. **„მხარე“** და **„მხარეები“** ნიშნავს მომჩივანს და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს.

უ. **„პოტენციური მონაწილე“** ნიშნავს მონაწილეს, რომელიც სავარაუდოდ მიიღებდა მონაწილეობას ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს შესყიდვების პროცესში, რომ არა შესაძლო შეცდომა ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მხრიდან.

ფ. **„შესყიდვა“** ნიშნავს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელიც დაკავშირებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მხრიდან საქონლის, სამუშაოს თუ მომსახურების შესყიდვასთან მასთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე.

ქ. **„შესყიდვების წესები“** ნიშნავს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის პროგრამის შესყიდვების წესებს, ასევე წესებს, რომლებიც მოცემულია შესაბამის „სატენდერო დოკუმენტაციაში.

ღ. **„განმხილველი კომისიის მომსახურების ხელშეკრულება“** ნიშნავს მომსახურების ხელშეკრულებას ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა და დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფის წევრს შორის, რომლის ძალითაც ეს უკანასკნელი, დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრად არჩევის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას.

ყ. **„სამუშაო დღე“** ნიშნავს ნებისმიერ დღეს საქართველოში, რომელიც არ არის (ა) ოფიციალური დღესასწაული, (ბ) შაბათ-კვირა და (გ) დღე, რომელიც გამოცხადებულია უქმე დღედ ხელისუფლების მიერ ბუნებრივი კატასტროფის მიზეზით.

პრეამბულა

თავის მხრივ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელსაც წარმოადგენს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია („**MCC**“), 2013 წლის 26 ივლისს ხელი მოაწერა ხუთწლიან, 140 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ხელშეკრულებას („**კომპაქტი**“) საქართველოსთან (“მთავრობასთან”) ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის მიზნით;

ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელსაც წარმოადგენს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია („**MCC**“), და, მეორე მხრივ, საქართველომ, რომელსაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, 2013 წლის 26 ივლისს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ („**ხელშეკრულება პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ**“), რომელშიც განმარტებულია კომპაქტის მოქმედების პერიოდში პროგრამის განხორციელების ზოგადი სამუშაო ჩარჩო;

თავის მხრივ, მთავრობამ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიანიჭა კომპაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარებაზე ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება;

თავის მხრივ, კომპაქტის პირობების თანახმად, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, უზრუნველყოს საქონლის, სამუშაოს თუ სხვა სახის მომსახურების შესყიდვა კომპაქტის ფარგლებში და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის პროგრამის შესყიდვების სახელმძღვანელო წესების შესაბამისად;

თავის მხრივ, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის პროგრამის შესყიდვების სახელმძღვანელო წესების თანახმად, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, გამოაქვეყნოს ტენდერის გასაჩივრების სისტემის პროცედურები, რომელთა ძალითაც კონკურსში მონაწილეებსა და პოტენციურ მონაწილეებს საშუალება მიეცემათ, მოითხოვონ შესყიდვებისა და გადაწყვეტილებების გადასინჯვა.

აქედან გამომდინარე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველომ შეიმუშავა პროცედურები, რომლებიც მოცემულია ტენდერის გასაჩივრების სისტემის წინამდებარე პროცედურებში („**გასაჩივრების პროცედურები**“), და გამოთქვამს თანხმობას, შესყიდვებისა და გადაწყვეტილებების განხილვის პროცესს ეწოდოს „ტენდერის გასაჩივრება“; წინამდებარე „ტენდერის გასაჩივრების პროცედურები“ განისაზღვრება პოტენციური მონაწილეებისათვის მიწოდებულ სატენდერო დოკუმენტაციაში.

პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა წინამდებარე „გასაჩივრების პროცედურები“, მოიცავს შემდეგს:

ა) არაორაზროვანი განმარტება იმისა, თუ რა მიზეზით მოხდა კონკურსში მონაწილეთა დისკვალიფიკაცია და რატომ არ შეირჩა წარუმატებელი განაცხადი თუ შეთავაზება;

ბ) კონკრეტული შესყიდვების შემთხვევაში შესყიდვების წესების გამოყენებასთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვა უნდა მოხდეს პროცედურულად მარტივად და სწრაფად;

გ) შესყიდვების პროცედურებისა და, ჩვეულებრივ სიტუაციაში, კონტრაქტის გაფორმების შეჩერება უნდა მოხდეს იმ დროით, სანამ მიმდინარეობს გასაჩივრების პროცედურა/განხილვა;

დ) საჩივრის განხილვის მიზნით ორგანოს ჩამოყალიბება პირველ ინსტანციაზე; აპელაციის განხილვის მიზნით, მეორე ინსტანციაზე ასევე სხვა დამოუკიდებელი ორგანოს ჩამოყალიბება;

ე) გამოსასწორებელი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა.

გამუქებულ ტერმინებს, რომლებიც მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში, მაგრამ არ არის კონკრეტულად განმარტებული, ენიჭებათ ის მნიშვნელობა, როგორაც განმარტებულია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის შესყიდვების სახელმძღვანელოში.

მუხლი 1 გასაჩივრების უფლება

1.1 კონკურსში მონაწილე ან პოტენციური მონაწილე, რომელსაც ზიანი მიადგა ან აცხადებს, რომ ზიანი მიადგა ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მხრიდან სავარაუდო გადაწყვეტილების ან მოქმედების შედეგად, რომელიც შეუსაბამობაშია შესყიდვების წესებთან, უფლებამოსილია, გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება ან მოქმედება, თუკი ეს გადაწყვეტილება ან მოქმედება არ მოიცავს შემდეგს:

ა) შესყიდვის მეთოდის ან შერჩევის პროცედურების შერჩევას (მაგალითად, შერჩევა ხარისხისა და ღირებულების მიხედვით (QCBS), შერჩევა ხარისხის მიხედვით (QBS) და ა. შ.);

ბ) შესყიდვების ტიპის შერჩევა (მაგალითად, საქონლის, სამუშაოების, არა საკონსულტაციო თუ საკონსულტაციო

მომსახურების შესყიდვა);

გ) ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს გადაწყვეტილება ყველა ტენდერის, შეთავაზების, განცხადებისა თუ კვოტირების გაუქმების შესახებ;

დ) შესყიდვების პროცესში გაყალბებასა თუ კორუფციაში ბრალდება, რომელიც განიხილება ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ოპერაციებში გაყალბებისა და კორუფციის პრევენციის, დადგენისა და აღკვეთის პოლიტიკის“ შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის ასლი ხელმისაწვდომია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ვებ-გვერდზე (www.mcc.gov).

1.2 ქვე-კონტრაქტორები და საზოგადოების წევრები არ არიან უფლებამოსილნი, შეიტანონ ტენდერის გასაჩივრების განცხადება.

1.3 ტენდერის გასაჩივრების პროცედურები შეიძლება ამოქმედდეს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსთვის ტენდერის გასაჩივრების განცხადების მიწოდების შედეგად, როგორც ეს აღწერილია ტენდერის გასაჩივრების პროცედურების მე-4 მუხლში.

მუხლი 2 ტენდერის გასაჩივრების განმხილველი კომისია

2.1 წინამდებარე გასაჩივრების პროცედურების მიზნებიდან გამომდინარე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, ჩამოაყალიბოს მუდმივმოქმედი სპეციალური ორგანო, ტენდერთან დაკავშირებული საჩივრების განმხილველი კომისია (**„განმხილველი კომისია“**), რომელიც შედგება სამი წევრისაგან და რომლის უფლება-მოვალეობებში შედის ტენდერის მონაწილეთა საჩივრების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

2.2 განმხილველი კომისია შედგება შემდეგი სამი წევრისაგან: ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, განმხილველი კომისიის თავმჯდომარე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს დირექტორი იურიდიულ საკითხებში და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს შესყიდვების დირექტორი. იურიდიულ საკითხებში დირექტორის და/ან შესყიდვების დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა განმხილველი კომისიის წევრობის უფლებამოსილება შეიძლება მიანიჭოს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს სხვა თანამშრომელს.

2.3 ტენდერთან დაკავშირებული საჩივარების განმხილველი კომისიის თავმჯდომარეს ენიჭება პროცედურული საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება.

მუხლი 3 შესყიდვების პროცედურის შეჩერება

3.1 მას შემდეგ, რაც განმხილველი კომისია მიიღებს მე-4 მუხლის თანახმად შეტანილ განცხადებას ტენდერის გასაჩივრების შესახებ, განმხილველი კომისია ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაავალოს შესყიდვების დირექტორს სადავო შესყიდვების პროცედურების შეჩერება, სანამ განმხილველი კომისია არ მიიღებს გადაწყვეტილებას ხსენებულ საჩივართან დაკავშირებით გასაჩივრების პროცედურების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საჩივარების განმხილველი კომისია დაადგენს, რომ:

ა) არსებობს გადაუდებელი საჭიროება ან გონივრული მიზეზი, თუ რატომ არ უნდა შეჩერდეს შესყიდვების პროცესი;

ბ) პრეტენზია უსაფუძვლოა;

გ) მოსარჩლეს არ მიეყენება რაიმე გამოუსწორებელი ზიანი;

დ) შესყიდვების შეჩერება არათანაზომიერ ზიანს მიაყენებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს.

3.2 შეჩერებული პროცესი განახლდება:

ა) სამ (3) დღეში მას შემდეგ, რაც განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება გადაეგზავნება მომჩივანსა და გასაჩივრებული ტენდერის ყველა მონაწილეს, თუკი ამ სამი დღის განმავლობაში მოხდა აპელაციის შეტანა, შესყიდვების პროცესის შეჩერება გაგრძელდება, სანამ აპელაციასთან დაკავშირებული საქმე არ დაიხურება წინამდებარე გასაჩივრების პროცედურების დებულებათა შესაბამისად;

ბ) დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება გადაეგზავნება მომჩივანს და შესყიდვების ტენდერის ყველა მონაწილეს, ასევე ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს.

3.3 შესყიდვების პროცესის შეჩერების შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილება და მისი მიზეზები უნდა განისაზღვროს ტენდერის გასაჩივრების დოკუმენტაციაში

და დროულად მიეწოდოს მომჩივანს და შესყიდვების ტენდერის ყველა მონაწილეს.

მუხლი 4 ტენდერის გასაჩივრების განცხადების შეტანა

4.1 ტენდერის მონაწილეს და პოტენციურ მონაწილეს უფლება აქვთ, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოში შეიტანონ ტენდერის გასაჩივრების განცხადება იმ ზიანის საფუძველზე, რომელიც მათ მიადგათ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს შესყიდვების წესების დარღვევით განხორციელებული შესყიდვების შედეგად.

4.2 ტენდერითან დაკავშირებული საჩივარის მოთხოვნები:

ა) მითითებული უნდა იყოს კონკრეტული შესყიდვა, რომელსაც ეხება მოცემული საჩივარი;

ბ) აღწერილი უნდა იყოს საჩივარის შინაარსი და ფაქტობრივი მტკიცებულებები, შესყიდვების წესების ან შესყიდვების პროცესის ის ნაწილი, რომელშიც, შესაძლოა იყო შეუსაბამობა;

გ) მითითებული უნდა იყოს შესყიდვების წესების კონკრეტული დებულება (დებულებები), რომელიც, სავარაუდოდ, დაირღვა ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს გადაწყვეტილების ან მოქმედების შედეგად;

დ) ახსნილი უნდა იყოს ზიანის საფუძველი, რომელიც მიადგა მომჩივანს ან შეიძლება მისგომოდა ამ გადაწყვეტილებისა თუ მოქმედების შედეგად;

ე) მოთხოვნილი რეაგირების არსი;

ვ) ახსნა, თუ რატომ არის ტენდერის გასაჩივრება დროული;

ზ) მითითებული უნდა იყოს მომჩივანის სახელი, მისამართი, ტელეფონი, ფაქსის ნომერი და ელ-ფოსტის მისამართი.

4.3 საჩივარი ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს უნდა მიეწოდოს წერილობითი სახით (მისაღებია ელექტრონული ფორმაც) შემდეგ ვადებში:

ა) **ხუთი** სამუშაო დღის ვადაში:

ა.ა წინასწარ საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობის და განაცხადისა თუ შეთავაზების შეტანის შესახებ განცხადებაში შეტანილი ცვლილებების გამოცხადების დღიდან; ან

ა.ბ შეთავაზების მიღების ვადების გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

ბ) თუ შესყიდვების პროცესი ითხოვს ტექნიკურ შეფასებას ფინანსური შეთავაზებების მიღებამდე, **ხუთი სამუშაო** დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც ტენდერში მონაწილეებს მიეწოდებათ ტექნიკური შეფასების შედეგები;

გ) შესყიდვების ორნაწილიანი (ანუ, ცალ-ცალკე ტექნიკური და ფინანსური განაცხადი ან შეთავაზება) საჩივარი უნდა იქნეს შეტანილი **ხუთი (5)** სამუშაო დღის განმავლობაში ტექნიკური შეფასებების მიწოდების შემდეგ;

დ) ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს შესყიდვების პროცედურების ფარგლებში სხვა ნებისმიერი გადაწყვეტილებისა თუ მოქმედების შესახებ საჩივარი უნდა იქნეს შეტანილი **ხუთი (5)** დღის განმავლობაში კონკურსში გამარჯვების შესახებ შეტყობინების ან **სამი (3)** დღის განმავლობაში შეფასების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან, მომდევნო, 4.4 პუნქტის თანახმად.

4.4 გასაჩივრების წინამდებარე პროცედურების მიზნებიდან გამომდინარე, ტენდერში მონაწილეს ენიჭება უფლება, მოითხოვოს თავისი განაცხადის შეფასება, რისთვისაც მან უნდა მიაწოდოს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ტექნიკური შეფასების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით მიწოდების შესახებ მოთხოვნა **ორი (2)** სამუშაო დღის განმავლობაში ტენდერში გამარჯვების შესახებ შეტყობინების მიღებიდან. ამ მოთხოვნის მიღებიდან **სამი (3)** სამუშაო დღის განმავლობაში ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, უზრუნველყოს წერილობითი განმარტების გაკეთება, თუ რატომ არ შეირჩა მოცემული მონაწილის კანდიდატურა.

მუხლი 5 ტენდერის გასაჩივრების პროცედურები

5.1 ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, ტენდერის ყველა მონაწილეს მიაწოდოს ინფორმაცია ტენდერის გასაჩივრების საგნის შესახებ არაუგვიანეს **სამი (3)** სამუშაო დღისა ტენდერთან დაკავშირებული საჩივრის მიღებიდან.

5.2 განმხილველმა კომისიამ შეიძლება უარყოს ტენდერთან დაკავშირებული საჩივარი შემდეგ შემთხვევებში:

ა) ტენდერის გასაჩივრება ცალსახად უსაფუძვლოა, მათ შორის, არ შეიცავს მითითებას შესყიდვების წესების კონკრეტული დებულების შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, დაირღვა, როგორც ეს აღწერილია პუნქტში 4.2 (გ);

ბ) ტენდერთან დაკავშირებული საჩივარი არ იყო შეტანილი 4.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;

გ) მომჩივანი არ არის უფლებამოსილი, შეიტანოს ტენდერთან დაკავშირებული საჩივარი, როგორც ეს აღწერილია პუნქტში 1.2.

5.3 განმხილველი კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ტენდერთან დაკავშირებული საჩივრის საგნის, ანუ შესყიდვების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებისა თუ ზომების შესახებ და გააუქმოს, შეიტანოს შესწორებები და ცვლილებები, ან დაამტკიცოს ისინი. ამის შემდეგ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მომჩივანს და შესყიდვების პროცედურების ყველა მონაწილეს ამ გადაწყვეტილების შესახებ.

5.4 განმხილველი კომისია ვალდებულია, მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრების მიღებიდან **ათი (10)** დღის განმავლობაში. ტენდერთან დაკავშირებული აღნიშული გადაწყვეტილება:

ა) წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით;

ბ) უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მიღებული ზომებისა და მათი მიზეზების შესახებ; და

გ) ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ მიღებული ტენდერთან დაკავშირებული საჩივრები, დაუყოვნებლივ უნდა დაერთოს ტენდერის გასაჩივრების დოკუმენტაციას.

5.5 თუკი ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო არ მიაწვდის მომჩივანს გადაწყვეტილებას, როგორც ეს მოთხოვნილია 5.4 მუხლის თანახმად (ან თუ მომჩივანი უკმაყოფილოა წერილობითი გადაწყვეტილებით, მას ენიჭება უფლება, **სამი (3)** დღის განმავლობაში იმ შემთხვევაში თუ, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო დროულად ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებას, როგორც ეს მოთხოვნილია 5.4 პუნქტით, ასევე წერილობითი გადაწყვეტილების მიღებიდან **სამი (3)** დღის განმავლობაში, შეიტანოს მე-7 მუხლით გათვალისწინებული აპელაცია. აპელაციის

პროცედურების დაწყების შემდეგ განმხილველი კომისია აღარ ასრულებს განმხილველი ორგანოს ფუნქციებს.

მუხლი 6 აპელაციის შეტანა

6.1 კონკურსში მონაწილე უფლებამოსილია, დამოუკიდებელ განმხილველ კომისიაში შეიტანოს აპელაცია განმხილველი კომისიის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, პუნქტების 6.2 და 6.3 თანახმად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მან ზედმიწევნით შეასრულა ტენდერის გასაჩივრების პროცედურები, როგორც ეს აღწერილია მე-5 მუხლში, ასევე თუ:

ა) მომჩივანმა არ მიიღო განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება 5.4 პუნქტში განსაზღვრულ ვადებში;

ბ) მომჩივანმა დროულად მიიღო განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება, მაგრამ არ ეთანხმება მას.

6.2 **სამი (3)** სამუშაო დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც განმხილველი კომისია გამოიტანს (ან უნდა გამოიტანოს) გადაწყვეტილება ტენდერის გასაჩივრების შესახებ, თანახმად 1.1 მუხლისა, ან უარყოფს მომჩივანის საჩივარს, მომჩივანს აქვს უფლება, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოში შეიტანოს აპელაცია ამ გადაწყვეტილების ან მისი საჩივარის უარყოფის წინააღმდეგ.

6.3 პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც მომჩივანს შეაქვს აპელაცია განმხილველი კომისიის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ჩაითვლება დაწყებულად იმ დღეს, როდესაც ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო მიიღებს აპელაციის განცხადებას.

6.4 აპელაცია წარდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე და შეიცავდეს შემდეგს:

ა) მოთხოვნა, რომ აპელაცია გადაეგზავნოს დამოუკიდებელ განმხილველ კომისიას, ასევე ინფორმაცია, რომ მოთხოვნა დროულად იქნა წარდგენილი;

ბ) მომჩივანის სახელი, გვარი და მისამართი;

გ) ინფორმაცია კონკრეტული შესყიდვების შესახებ;

დ) აპელაციის შინაარსი;

ე) მოთხოვნილი კომპენსაცია ან პრობლემის გადაწყვეტის გზები.

6.5 თუ აპელაციის განცხადება არ შეიცავს ამ მუხლით გათვალისწინებულ ერთ ან მეტ პუნქტს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო უარყოფს აპელაციას მიღებიდან **სამი (3)** დღის განმავლობაში. გარდა ამისა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, უარყოს აპელაცია მისი მიღებიდან **ხუთი (5)** დღის განმავლობაში, თუკი არ იქნა მიღებული სააპელაციო დეპოზიტი წინამდებარე გასაჩივრების პროცედურების 14.2 პუნქტის თანახმად.

მუხლი 7 დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფი

7.1 ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, შექმნას ჯგუფი (დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფი), რომელიც შედგება ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ წარდგენილი მინიმუმ ექვსი კომპეტენტური და კვალიფიციური პირისაგან. ამ პირთაგან შეირჩევიან ჯგუფის წევრები, რომლებიც განიხილავენ კონკრეტულ აპელაციებს.

7.2 დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფის ყველა წევრის სახელი, გვარი, მისამართი, სამუშაო ადგილი, მოქალაქეობა და ინფორმაცია კვალიფიკაციის შესახებ უნდა აიტვირთოს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ვებ-გვერდზე.

7.3 დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფის წევრები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი და არ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი შესყიდვების შედეგებით (ფინანსებთან, ოჯახთან, საქმიანობასთან თუ ბიზნესის ფლობასთან და სხვა, პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული მიზეზების გამო). ისინი ასევე არ უნდა იყვნენ ჩართულნი ან დაკავშირებულნი შესყიდვების პროცესთან. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, კომისიის ყველა წევრთან გააფორმოს მომსახურების გაწევის ხელშეკრულება მას შემდეგ, რაც ისინი დაინიშნებიან დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის ჯგუფის წევრებად.

მუხლი 8 აპელაციების განსახილველად დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრთა შერჩევა

8.1 ყველა კონკრეტული აპელაციის შემთხვევაში ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, შექმნას დამოუკიდებელი განმხილველი კომისია, რომელიც შედგება დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფის სამი წევრისაგან. წევრები შეირჩევიან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

8.2 აპელაციის განცხადების მიღებიდან **ხუთი (5)** სამუშაო დღის განმავლობაში ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, ჩაატაროს დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრთა საჯარო შერჩევა მომჩივანის წარმომადგენელთა თანდასწრებით, თუკი ისინი თანახმა არიან, დაესწრონ ამ პროცედურას იმ დღეს, დროს და ადგილას, რომელიც მითითებული იქნება ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ მომჩივანისთვის მიწოდებულ შეტყობინებაში. აუცილებელია დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფის წევრთა სახელების შემცველი ყველა კონვერტის შემოწმება და დადასტურება, რომ ისინი შეიცავს დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფის ყველა წევრის სახელს. დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის შერჩეული წევრების სიის შემცველი დოკუმენტაციის ასლი შემდგომში გადაეგზავნება მომჩივანს. დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის ორი ნებისმიერი წევრი შეადგენს ქვორუმს, რომელიც საკმარისია დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის ვალდებულებათა შესასრულებლად.

8.3 თუკი დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის რომელიმე წევრი მიუწვდომელია, ან დადგინდა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დანიშნოს დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფის ესა თუ ის წევრი დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის ახალ წევრად, თანახმად 8.2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურებისა.

8.4 მომჩივანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, შეიტანოს განცხადება, რომლის მეშვეობითაც ის გამოთქვამს პრეტენზიას დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის ამა თუ იმ წევრის დანიშვნასთან დაკავშირებით, თანახმად კრიტერიუმებისა, რომლებიც აღწერილია 8.3 პუნქტში, **ერთი (1)** სამუშაო დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსაგან მიიღებს დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრთა სიას.

8.5 თუკი მიღებულია პრეტენზია წევრთა დანიშვნასთან დაკავშირებით, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, ჩაატაროს განხილვა და დაადგინოს პრეტენზიის საფუძვლიანობა და მომჩივანს მიაწოდოს თავისი გადაწყვეტილების ახსნა-განმარტება. თუკი, მომჩივანის მიერ გამოთქმული პრეტენზიის საფუძველზე დადგინდა, რომ ამა თუ იმ წევრის შერჩევა მართლაც არაკანონიერია, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეარჩიოს დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფის სხვა წევრი და დანიშნოს ის დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრად 8.2 პუნქტში აღწერილი პროცედურების შესაბამისად.

8.6 თუ მომჩივანი დროულად არ გამოთქვამს პრეტენზიას, მეორე დღეს მას შემდეგ, რაც მომჩივანი ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსაგან მიიღებს დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრთა სიას, დამოუკიდებელი განმხილველი კომისია ჩაითვლება ჩამოყალიბებულად.

8.7 დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრები უნდა იყვნენ მიუკერძოებელნი, დამოუკიდებელნი და არ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი შესყიდვების შედეგებით (ფინანსებთან, ოჯახთან, საქმიანობასთან თუ ბიზნესის ფლობასთან და სხვა პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული მიზეზების გამო). ისინი ასევე არ უნდა იყვნენ ჩართულნი ან დაკავშირებულნი შესყიდვების პროცესთან.

მუხლი 9 თავმჯდომარის დანიშვნა

9.1 8.6 პუნქტის თანახმად დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის შემადგენლობიდან **სამი (3)** სამუშაო დღის განმავლობაში დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის ყველა წევრი უნდა შეიკრიბოს და აირჩიოს თავმჯდომარე.

9.2 დამოუკიდებელი განმხილველი კომისია ვალდებულია, მხარეებს დაუყოვნებლივ აცნობოს ამ არჩევანის შესახებ.

მუხლი 10 დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრთა შეცვლა

10.1 სააპელაციო განხილვის პროცესში დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის ამა თუ იმ წევრის მოვალეობის შესრულების უუნარობისა თუ გადადგომის

შემთხვევაში, ან თუკი ესა თუ ის წევრი არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, ან დე-იურე ან დე-ფაქტო ვერ ასრულებს შესაბამის ფუნქციებს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, შეცვალოს დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის ეს წევრი, თანახმად პროცედურებისა, რომლებიც მოცემულია მე-8 მუხლში და რომელიც ძალაში იყო დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის ახალი წევრის დანიშვნისას.

10.2 მიუხედავად ამისა, დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრის გადადგომის შემთხვევაში, თუ ქვორუმი კვლავაც სახეზეა, დამოუკიდებელი განმხილველი კომისია ვალდებულია, გააკეთოს ყველაფერი დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის გადაწყვეტილების მისაღებად და ასლები გაუგზავნოს თითოეულ მხარეს **ხუთი (5)** სამუშაო დღის განმავლობაში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 11 სააპელაციო პროცედურები

11.1 ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, ტენდერის ყველა მონაწილეს მიაწოდოს ინფორმაცია აპელაციის შესახებ არაუგვიანეს **ორი (2)** დღისა აპელაციის მიღებიდან.

11.2 ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, დამოუკიდებელ განმხილველ კომისიას მიაწოდოს მოკლე ანგარიში აპელაციის შესახებ **ოთხი (4)** დღის განმავლობაში დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის ჩამოყალიბებიდან.

11.3 თავმჯდომარე პასუხისმგებელია დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე.

11.4 დამოუკიდებელი განმხილველი კომისია ვალდებულია, განიხილოს ტენდერის გასაჩივრების დოკუმენტაცია და მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც მოცემულია საჩივარსა და წერილობით გადაწყვეტილებაში.

11.5 დამოუკიდებელი განმხილველი კომისია უფლებამოსილია, გააუქმოს გადაწყვეტილება, რომელიც, მისი აზრით, უსაფუძვლოა ან წარმოადგენს შეცდომას შესყიდვების წესების გატარებისას. თუ სახეზე არ არის წერილობითი გადაწყვეტილება, დამოუკიდებელი განმხილველი კომისია უფლებამოსილია, მოითხოვოს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსაგან მის ხელთ

არსებული და შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ხელმისაწვდომობა და განიხილოს გადაწყვეტილებები ან მოქმედებები, რომელიც ეხება ტენდერთან დაკავშრებულ საჩივარს.

11.6 დამოუკიდებელი განმხილველი კომისია უფლებამოსილია, გაატაროს ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული მოქმედება:

ა) აუკრძალოს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება ან პროცედურების გატარება, რომლებიც, მისი აზრით, არ შეესაბამება შესყიდვების წესებს;

ბ) მიაწოდოს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს რეკომენდაცია, იმოქმედოს პროცედურების შესყიდვების წესების დებულებათა შესაბამისად;

გ) გაამართლოს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს გადაწყვეტილება;

დ) უარყოს აპელაცია;

ე) მოითხოვოს ტენდერის მომზადებასა და აპელაციასთან დაკავშირებული გონივრული და გადამოწმებადი ხარჯების კომპენსაცია, იურისტის გასამრჯელოსა და დაკარგული მოგების გარდა.

11.7 დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია, მიიღოს გადაწყვეტილება დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის სახელით **ხუთი (5)** სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ჩატარებული პირველი შეხვედრიდან. მას ასევე ენიჭება უფლება, საფუძვლიანი მიზეზის არსებობის შემთხვევაში, **ხუთი (5)** დღით გადაავადოს ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნება.

11.8 დამოუკიდებელი განმხილველი კომისია ვალდებულია, ამ გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მომჩივანს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს და შესყიდვების პროცედურების ყველა მონაწილეს. გადაწყვეტილება:

ა) წარდგენილი უნდა იქნას წერილობითი ფორმით;

ბ) შეიცავდეს ინფორმაციას გატარებული ზომებისა და მათი მიზეზების შესახებ;

გ) ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ მიღებული აპელაცია, დაუყოვნებლივ უნდა დაარქივდეს ტენდერის გასაჩივრების დოკუმენტაციასთან ერთად.

მუხლი 12 შეტყობინება, ვადების განსაზღვრა

12.1 ტენდერის გასაჩივრების წინამდებარე პროცედურების მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი გზავნილის, შეტყობინების, მიმოწერის, ტენდერთან დაკავშირებული საჩივარის, აპელაციისა თუ გადაწყვეტილების ჩათვლით, ჩაითვლება მიღებულად, თუკი ის მიწოდებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართზე. გზავნილის მიღების თარიღად მიიჩნევა დღე, როცა ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო მიიღებს ამ გზავნილს.

12.2 ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, გაუგზავნოს მის მიერ მიღებული აპელაციის განცხადება დამოუკიდებელ განმხილველ კომისიას **ერთი (1)** დღის განმავლობაში მისი მიღებიდან.

12.3 გასაჩივრების პროცედურების ვადების დადგენის მიზნით, ვადის ათვლა დაიწყება გზავნილის, შეტყობინების, მიმოწერის, ტენდერთან დაკავშირებული საჩივრის, აპელაციისა თუ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო სამუშაო დღეს. თუ ტენდერის გასაჩივრების პროცედურებში არ არის მოცემული სხვა მითითებები, „დღე“ მოიაზრება, „სამუშაო დღე“. ტენდერის გასაჩივრების წინამდებარე პროცედურების თანახმად, ყველა გზავნილი და სხვა სახის დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილია ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსათვის, განმხილველი კომისიისა ან დამოუკიდებელი განმხილველი ჯგუფისათვის, ასევე დამოუკიდებელი განმხილველი კომისიისათვის, უნდა გაიგზავნოს შემდეგ ფაქტიურ, იურიდიულ ან ელექტრონულ მისამართზე.

ფაქტიური მისამართი:
ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო
დიმიტრი ქემოკლიძე
შესყიდვების დირექტორი
დიმიტრი უზნაძის 52, 0102, თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: procurement@mcageorgia.ge

იურიდიული მისამართი:
სანაპიროს ქუჩა #4
0105, თბილისი, საქართველო

მუხლი 13 მოთხოვნები ენასთან დაკავშირებით

13.1 ტენდერის გასაჩივრებასთან დაკავშირებული ყველა წერილობითი დოკუმენტი წარმოდგენილ უნდა იქნას ინგლისურ ენაზე.

მუხლი 14 სააპელაციო დეპოზიტი

14.1 სააპელაციო დეპოზიტის მოთხოვნები:

ა) უნდა შეიცავდეს ქვემოთ ცხრილში მოცემულ თანხას;

ბ) უნდა იქნას გადარიცხული ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს საბანკო ანგარიშებზე, როგორც ეს მითითებულია ტენდერის გასაჩივრების წინამდებარე პროცედურებში ან აღწერილია ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ვებ-გვერდზე;

გ) სააპელაციო პროცედურებთან დაკავშირებული ხარჯები უნდა დაიფაროს შემდეგი თანმიმდევრობით:

გ.ა დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრთა ჯამური გასამრჯელო პროფესიული მომსახურებისათვის, როგორც ეს მითითებულია განმხილველი კომისიის მომსახურების ხელშეკრულებაში;

გ.ბ დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრთა ხარჯების ჯამური ოდენობა, რაც დაკავშირებულია ბეჭდვასთან, ასლების გადარებასთან, მოხელეთა მომსახურებასთან და სხვა.

გ. დ პროცესის ფარგლებში კურიერის მომსახურების ჯამური ღირებულება;

გ.ე სამგზავრო ხარჯები, ექსპერტთა მომსახურებასთან, მოწმეთა გამოძახებასთან და სხვა, დაკავშირებული ხარჯები.

დ) სააპელაციო დეპოზიტის ნებისმიერი აუთვისებელი ნაწილი შეიძლება დაუბრუნდეს მომჩივანს დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის გადაწყვეტილებისამებრ და განკარგულების საფუძველზე.

სააპელაციო დეპოზიტი	მომჩივანის კონტრაქტის

	ღირებულება
5,000.00 აშშ დოლარი	100,000.00 აშშ დოლარამდე
15,000.00 აშშ დოლარი	100,000.00-1,000,000.00 აშშ დოლარი
50,000.00 აშშ დოლარი	1,000,000.00 აშშ დოლარზე მეტი

14.2 სააპელაციო დეპოზიტი შეტანილი უნდა იქნას ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს საბანკო ანგარიშზე ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ აპელაციის განცხადების მიღებიდან ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში, აშშ დოლარებში ან აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოცემული დღის სავალუტო კურსის მიხედვით. დეპოზიტს უნდა დაერთოს გადარიცხვის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი.

14.3 თუ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო არ მიიღებს სააპელაციო დეპოზიტის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, როგორც ეს მოთხოვნილია 14.2 პუნქტის თანახმად, აპელაცია ჩაითვლება არასათანადოდ შეტანილად.

14.4 თუ დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრთა მომსახურების კონტრაქტების საფუძველზე გახდა ცნობილი, რომ აპელაციის პროცედურებთან დაკავშირებული პროფესიული მომსახურების გასამრჯელო აღემატება თანხას რაც მოცემულ ამ მუხლით გათვალისწინებულ ცხრილში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, მოსარჩლეს მიაწოდოს მომსახურების გაწევის თაობაზე ხელმოწერილი ხელშეკრულება დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის დამტკიცებისთანავე და წერილობით აცნობოს მოსარჩლეს დავალიანების ჯამური ოდენობის შესახებ, რომელიც საჭიროა მომჩივანის მიერ განმხილველი კომისიის მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროფესიული მომსახურების გასამრჯელოს დასაფარად. ამ შემთხვევაში მომჩივანი პასუხისმგებელია დამატებითი ოდენობის გადახდაზე (როგორც ეს მოთხოვნილია განმხილველი კომისიის მომსახურების ხელშეკრულებაში) **ხუთი (5)** სამუშაო დღის განმავლობაში განმხილველი კომისიის მომსახურების ხელშეკრულებისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსაგან ოფიციალური შეტყობინების მიღებიდან.

14.5 დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის წევრთა შეთავაზებების (ინვოისი) მიღებისთანავე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო შეატყობინებს მომჩივანს დამატებითი ხარჯების შესახებ, რომლებიც აღემატება სააპელაციო დეპოზიტის ოდენობას და რომლებიც ცნობილი იქნება მხოლოდ აპელაციის განხილვის და/ან აპელაციის პროცესის დასრულების შემდეგ (მაგალითად, კურიერთა და სხვა მოსამსახურე პერსონალის გასამრჯელო). ამ შეთავაზებების (ინვოისი) შეტანა უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის გადაწყვეტილებასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში მომჩივანი ვალდებულია, დაფაროს თითოეული შეთავაზების (ინვოისი) ფარგლებში მოთხოვნილი დამატებითი ხარჯები **სამი (3)** სამუშაო დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ის მიიღებს შეთავაზებებს და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ოფიციალურ შეტყობინებას. მიუხედავად 11.7 პუნქტის დებულებებისა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო მიაწვდის მომჩივანს დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამატებითი ხარჯები დაფარული იქნება.

14.6 ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს საბანკო ანგარიშების დეტალები მიეწოდება მომჩივანს აპელაციის განცხადების მიღების მეორე დღეს.

მუხლი 15 განცხადებათა შეტანის გადასახადი და ხარჯები

15.1 ტენდერთან დაკავშირებული საჩივარის/განცხადების შეტანა არ ითხოვს გადასახადის დაფარვას.

15.2 დამოუკიდებელი განმხილველი კომისია ვალდებულია, თავის გადაწყვეტილებაში მიუთითოს აპელაციის პროცედურებთან დაკავშირებული ხარჯები. ტერმინი „ხარჯები“ აღნიშნავს მხოლოდ შემდეგს:

ა) გასამრჯელოსთან დაკავშირებული, მგზავრობის და სხვა ხარჯები, დაანგარიშებული დამოუკიდებელი განმხილველი კომისიის მიერ განმხილველი კომისიის მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, რომელსაც ხელს აწერეს თითოეული წევრი და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს უფლებამოსილი პირი;

ბ) ექსპერტის კონსულტაციებისა და განმხილველი კომისიის მიერ მოთხოვნილი სხვა სახის გონივრული საფასური, რომელსაც წინასწარ

ამტკიცებენ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო და მომჩივანი;

გ) მოწმეთა მგზავრობის და სხვა ხარჯები, თუკი ისინი წინასწარ არის დამტკიცებული ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა და მომჩივანის მიერ მგზავრობის ხარჯების, დღიური ხარჯისა და სასტუმრო ხარჯების დაანგარიშება უნდა განხორციელდეს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ფისკალური ანგარიშგების გეგმისა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ხარჯების პრინციპების თანახმად;

დ) პროცესის მსვლელობაში დავაში გამარჯვებული მხარის იურიდიულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებელი განმხილველი კომისია ჩათვლის, რომ ამ ხარჯების ოდენობა გონივრულია.

15.3 აპელაციის პროცედურებთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა ევალება იმ მხარეს რომელიც წააგებს აპელაციას. თუკი მომჩივანმა წააგო აპელაცია, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო გამოიყენებს სააპელაციო დეპოზიტს (რასაც დაემატება მომჩივანის მიერ დაფარული ყველა შესაძლო დამატებითი ხარჯი, თანახმად პუნქტებისა 14.4 და 14.5), რათა დაფაროს აპელაციის პროცედურებთან დაკავშირებული ყველა (ჯამური) ხარჯი; სააპელაციო დეპოზიტის აუთვისებელი ნაწილი დაუბრუნდება მომჩივანს. თუ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო წარმოადგენს მხარეს რომელმაც წააგო აპელაცია, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, აპელაციის დეპოზიტის სრული ოდენობა დაუბრუნოს მომჩივანს (რასაც დაემატება მომჩივანის მიერ გაწეული ყველა შესაძლო დამატებითი ხარჯი, თანახმად პუნქტებისა 14.4 და 14.5) და დაფაროს აპელაციის პროცედურებთან დაკავშირებული ყველა (ჯამური) ხარჯები.

მუხლი 16 სახელმძღვანელო წესები

16.1 წინამდებარე პროცედურებით იმართება ტენდერის გასაჩივრების სისტემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პროცედურები წინააღმდეგობაშია კომპაქტთან, პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ ხელშეკრულების, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის პროგრამის შესყიდვების სახელმძღვანელო და საქართველოს კანონმდებლობის დებულებებთან. იმ

შემთხვევაში, თუ წინამდებარე დოკუმენტი წინააღმდეგობაშია კომპაქტთან და/ან პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ ხელშეკრულებასთან, ან ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის შესყიდვების სახელმძღვანელოსთან (თუკი ის ძალაშია კონკრეტულ შემთხვევაში), უპირატესობა ენიჭება კომპაქტს და/ან პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ ხელშეკრულების დებულებებსა და ათასწლეულის პროგრამის შესყიდვების წესების სახელმძღვანელოს.

16.2 ტენდერის გასაჩივრების წინამდებარე პროცედურები გამოყენებული უნდა იყოს და შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, ხოლო ნებისმიერი დავა, რომელსაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს ტენდერის გასაჩივრების წინამდებარე პროცედურების საფუძველზე, უნდა გადაწყდეს საქართველოს სასამართლოს მიერ.

16.3 სატენდერო დოკუმენტაციაში გაცხადებული უნდა იყოს, რომ ტენდერის ყველა მონაწილე და პოტენციური მონაწილე, რომელიც მონაწილეობს ტენდერში მომსახურების მიწოდების და/ან საქონლის მიწოდების, ან სამუშაოების შესრულების უფლების მოსაპოვებლად, თანახმაა, დაექვემდებაროს ტენდერის გასაჩივრების წინამდებარე პროცედურებს, და მზადაა, არ წამოიწყოს სასამართლოში დავა ტენდერთან და შესყიდვების პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხისა თუ პრეტენზიის საფუძველზე, სანამ არ დასრულდება ტენდერის გასაჩივრებისა და აპელაციის პროცესი გასაჩივრების წინამდებარე პროცედურების თანახმად.

16.4 ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო უფლებამოსილია, პერიოდულად შეიტანოს წერილობითი ცვლილებები გასაჩივრების წინამდებარე პროცედურებში. გაუგებრობის/ეჭვების თავიდან აცილების მიზნით, გასაჩივრების პროცედურები, რომლებიც ძალაშია ტენდერთანდ დაკავშირებული საჩივრის შეტანის დროს, წარმოადგენს დოკუმენტს, რომლითაც ხელმძღვანელობენ მიმწოდებლები, პროვაიდერები და კონტრაქტორები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო შემდგომში შეიტანს ცვლილებებს გასაჩივრების პროცედურებში მე-16 მუხლის თანახმად.

მუხლი 17 ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისათვის ანგარიშების მიწოდება

17.1 ტენდერის მონაწილეები და პოტენციური მონაწილეები არ არიან უფლებამოსილნი, მიმართონ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას გასაჩივრების პროცედურების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

17.2 საბოლო გადაწყვეტილების მიღებიდან **სამ (3)** დღეში ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ვალდებულია, მიაწოდოს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას ანგარიში ტენდერთან დაკავშირებული საჩივარზე და/ან აპელაციაზე (თუკი აპელაცია შეტანილი იქნა) რეაგირებისა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შესახებ. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს ტენდერის გასაჩივრების დოკუმენტაციას, ყველა შეტყობინებას და სხვა შესაბამის მიმოწერას.

17.3 ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას აქვს უფლება, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით იყოს დამკვირვებელი ტენდერის გასაჩივრებისა და აპელაციის პროცედურების მსვლელობაში, თუმცა არ არის ვალდებული, ნებისმიერი სტატუსით მიიღოს მონაწილეობა ამა თუ იმ პროცესში. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ ამა თუ იმ პროცესში დამკვირვებლის სტატუსის მიღება არ ნიშნავს მის თანხმობას, დაექვემდებაროს საქართველოს სასამართლოსა თუ სხვა ორგანოს იურისდიქციას ან სხვა რომელიმე იურისდიქციას.